საჯარო და კერძო

სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება

ჩართულობის მხრივ ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე კანონპროექტების ინიციატორი სახელმწიფო უწყებების გამოვლენა - დაჯილდოვება

პრეს-რელიზი

20 სექტემბერი, 2016 წელი, სასტუმრო თბილისი მერიოტი, 10:00 საათი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მართავს **საქართველოში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების** წლიური ანგარიშის პრეზენტაციას და დააჯილდოვებს ჩართულობის მხრივ ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე კანონპროექტების ინიციატორ სახელმწიფო უწყებებს.

საგრანტო პროექტი **„საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება საქართველოში“** ხორციელდება IDFI-ის მიერ USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს შეაფასოს ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე კანონპროექტების მომზადების პროცესში.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება კანონპროექტის ~ შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ ოთხ ეტაპს: *1. პოლიტიკის შემუშავების ეტაპი; 2. კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი; 3. რეგულირების გავლენის შეფასება; და 4. ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან.*

კანონპროექტების შესაფასებლად IDFI-მ გადაარჩია 24 კანონპროექტი ინიცირებული 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე.

პროექტის გუნდმა პირველ რიგში ჩაატარა ინტერვიუები კანონპროექტების ავტორებთან. ინტერვიუებისთვის გამოყენებული იყო წინასწარ მომზადებული სახელმძღვანელო კითხვარი. კითხვარი მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა ინფორმაციის არსებობა მიმდინარე რეფორმის შესახებ, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობის ხარისხი, ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიღებული უკუკავშირის ხარისხი ა.შ. კანონპროექტების ავტორებისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა მეორადი ინტერვიუები.

პირველი წლიური ანგარიშის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ეფექტური დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის განვითარების საწყისს ეტაპზეა და საჭიროებს ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

პირველი წლის კვლევის რამდენიმე ძირითადი მიგნება მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ **საჯარო პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე, ჩართულობის მხრივ პირდაპირი სამართლებრივი ვალდებულებების არარსებობის პირობებში, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხორციელდება..** ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტების შემთხვევაში, რომელთაც კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე დაბალი ხარისხი აჩვენეს.
- ✓ **საქართველოში რეგულირების გავლენის შეფასების, როგორც კანონმდებლობის შემუშავების ინსტრუმენტის გამოყენება, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ხდება. , მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე კანონპროექტების შემთხვევაშიც კი.** რეგულირების გავლენის სიღრმისეული შეფასების გაკეთების პირდაპირი ვალდებულებების არ არსებობის პირობებში კანონპროექტის მრავალი ავტორი შემოიფარგლება განმარტებითი ბარათებით. განმარტებით ბარათებში მოცემული ინფორმაცია კი, ხშირად, მეტისმეტად მწირი და ზედაპირულია, არ არის გამყარებული საჯაროდ ხელმისაწვდომი კვლევებითა და არ ხდება უფრო ფართო საჯარო დისკუსიის ნაწილი კანონპროექტის ინიცირებამდე.

IDFI მიიჩნევს, რომ საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური კანონებისა და პოლიტიკის გატარებას. ეფექტური დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე წარმატებული შემთხვევების გამოვლენით, ჩვენი პროექტის გუნდს აქვს იმედი, რომ ხაზს გავუსვამთ პოლიტიკის დაგეგმის ადრეულ ეტაპებზე ეფექტური კონსულტაციის პოზიტიურ გავლენას, და ამგვარად ხელს შევუწყობთ მეტად ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესს მმართველობის ყველა ეტაპზე.

დაჯილდოვების შემდგომ, ღონისძიების მეორე ნაწილში IDFI-ის ესტონელი კოლეგები: ექსპერტი პრაქსისის საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრიდან ჰილლე ჰინსბერგი და სავაჭრო ასოციაციის ხელმძღვანელი რიინ სავი ისაუბრებენ სამოქალაქო ჩართულობის ესტონური გამოცდილების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ ბმულზე: www.idfi.ge - მიმდინარე პროექტები: http://bit.ly/2cBnBUU

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მერი მახარაშვილი

კომუნიკაციების & ორგანიზაციული განვითარების გრანტის მენეჯერი

მის: *ალ. გრიბოედოვის 3, თბილისი 0108, საქართველო.*

ტელ: *+ 995 32 1 92 15 14;* ***მობ:*** *+995 599 50 01 37*

ელ-ფოსტა: m.makharashvili@idfi.ge; info@idfi.ge